ცნობის ფურცელი

№ 1889 შაბათი, 6 აგვისტო 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1889

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

„ცნობის ფურცლის“ მე-1890 №-რი გამოვა ხუთშაბათს, 8 აგვისტოს

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ აგვისტოდან წლის დასრულებამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **3** მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

გ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

გ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. გ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ზარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

გ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვების და ბავშვების. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი 1—2 საათამდე.

პრ. მ. სობოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 274. (წო.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეთა: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმაიაის სახლი.

ქ. გორში,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ცურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს: ავადმყოფებს შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

ფოთის საბუხჰალტერიო კურსები

ა. ქ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. (ნ. 20—11)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

საზღვარ-გარედ

ოსმალეთი. ევროპიელ ელჩების ძალდატანების გამო, ოსმალეთმა დააარსა საგანგებო კომიტეტი, რომელმაც უნდა განიხილოს მაკედონიაში პროგრესიული რეფორმების საქმე. ამავე დროს სულთანმა გააუქმა მეორე რეფორმა, რომელიც 1895 წელს იყო შემოღებული, სომხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: ეს იყო ვიცე-გუბერნატორების თანამდებობის დაწესება ყველა პროვინციაში, სადაც სომხები ცხოვრობენ. ვიცე-გუბერნატორი უნდა ყოფილიყო აუცილებლად ქრისტიანი. მათ უნდა დაეცვათ ქრისტიანები თათრებისგან; მაგრამ მაშინვე შენიშნეს, რომ ეგ საქმეს ვერას უშველის და ცალიერი მოტყუებაა. მართლაც, ოსმალეთის შინაგან მდგომარეობას სრული გადაკეთება უნდა, მისი პოლიტიკური და სოციალური წესი ისეთი არის, რომ თუ არ ძირიანი რეფორმა, ან რეფორმები, ისე ვერა ვიცე-გუბერნატორი, თვით სომეხიც რომ იყოს იგი, ვერას უშველის. ოსმალოს მთავრობამ ნახსენებ ადგილზე მართლა ქრისტიანები დანიშნა, მაგრამ სულ ისეთები, რომელნიც თავისის ავაზაკობით განთქმულნი იყვნენ. და რომ თავისი უფროსის წყალობა არ დაეკარგათ, ამიტომ მჩვრად იქცეოდნენ და ცდილობდნენ კეთილი განწყობილება ექონათ თვისი უფროსისა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ ქრისტიან გამგეთა ხელში ჩაუვარდათ მთელი „საიდუმლო პოლიციის“ გამგეობა, გაიჩინეს ათასობით შპიონი, რასაც მოჰყვა ქრისტიანების დაჩაგვრა.

სულთანის უკანასკნელ ბძანების ძალით, ოსმალეთში ვიცე-გუბერნატორები აღარ დაინიშნებიან ქრისტიანეთაგან. რასაკვირველია, ეს ძალიან საგრძნობელია იქაურ სომეხთათვის. გაუქმება კი არა, ამ რეფორმის შესრულება იყო საჭირო, რომ მას შეევსო ოსმალეთის ადმინისტრაციის ნაკლი. „ფრანკფ. ცაიტ.“-ის კორესპონდენტის აზრით, ეს მეტად ცუდი ნიშანია მაკედონიის რეფორმების საქმისთვის. პორტა მხოლოდ ჰპირდება, როგორც მისი დიპლომატია ჩვეულია და ასრულებით კი არაფერს აკეთებს. „ოსმალეთი ისეთ მდგომარეობაშია, რომ რეფორმებით მისი ფეხზე დაყენება უკვე შეუძლებელია. ყოველი სერიოზული ოპერაცია „ავადმყოფს ადამიანს“ სიკვდილს უქადის“. ერთად ერთი შეუძლიანთ ევროპიელ სახელმწიფოებს: ყური უგდონ, რომ უფლება მოკლებული ქრისტიანე-ქვეშევრდომნი სულთანისა არ იყვნენ მოხელეთა თვით-ნებობის მსხვერპლი“.

ავსტრო-ჰუნგრეთი. წარსულ კვირას დაამთავრეს თავისი საქმეები ჩვიდმეტმა პროვინციალურმა სეიმმა. ვენის გაზეთების აზრით, სეიმების სესსიამ შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა, რაც მოულოდნელი იყო. ბოჰემიის და მორავიის სეიმები, რომელნიც განთქმულნი არიან თავისის არეულობით და აყალმაყალით, რადგან იქ ყოველთვის აღძრავენ ხოლმე კითხვას ენების შესახებ, ისე როგორც სხვა სეიმებიც, ცდილობდნენ მორიდებოდნენ სადავო კითხვების აღძვრას და და უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდნენ ეკონომიურ და ფინანსიურ კითხვებს. მაგრამ ეს იმას სრულიადაც არა ნიშნავს, რომ რეიხსრატის მომავალ სესსიაშიც ასეთივე მშვიდობიანობა დამყარდეს. ჩეხების გაზეთები და მეთაურნი სულ იმას იმეორებენ, რომ თუ რეიხსრატის გახსნამდე მთავრობა არ აასრულებს ჩეხების მოთხოვნილებას მათის ენის აღდგენის შესახებ ბოჰემიის ადმინისტრატიულ და სასამართლო დაწესებულებებში, ჩეხები უსათუოდ ობსტრუქციას მიმართავენ ავსტრო-ჰუნგრეთის ეკონომიურ შეთანხმების კითხვის გარჩევის დროსო.

გალიციაშიაც. სესსია მშვიდობიანად დასრულდა, და ვენის მთავრობა სრულიად კმაყოფილი დარჩა, რადგან სეიმის უმეტესობამ უარი განაცხადა გერმანიის წინააღმდეგ მანიფესტაციაზე. საქმე ამ პროვინციაში იმით გათავდა, რომ იდღესასწაულეს პოლონელების მიერ ტევტონების ორდენის (გერმანელების) დამარცხება. დალმაციაში უფრო ნაკლები მშვიდობიანობა ეტყობოდა. უმეტესობა აქაურ სეიმში კროატებისაგან შესდგება და

ფელეტონი

უცხოეთის ცხოვრება

ჟურნალისტთა საერთაშორისო კონგრესი.—პრესსის გამარჯვება.—დღევანდელი გაზეთი და რეპორტერი.—ბრძოლა ქალების ვაჭრობის წინააღმდეგ.—საინტერესო გამოფენა.

ზაფხული კონგრესებისა და კრებების დროა. ისე კვირა როგორ გავა ევროპასა და ამერიკაში, რომ ან აქ ან იქ არ გაიმართოს კონგრესი. ძალიან გახშირდა ამ ბოლოს დროს ეგრედ წოდებული საერთაშორისო კონგრესები. ხალხი ერთმანეთს დაუახლოვდა და ერთა წინანდელ კარ-ჩაკეტილობას ბოლო მოეღო, ხოლო შედეგად დაახლოვებას ის მოჰყვა, რომ ერნი საერთო ძალ-ღონით სცდილობენ ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ამა თუ იმ საქმის მოგვარებას. რაღა თქმა უნდა, რაც წინად განმარტოებით მყოფ ერსა და იმის საუკეთესო წარმომადგენლებს არ ძალ-ედვათ, იმას ეხლა საერთო მეცადინეობით ადვილად ახერხებენ და აკეთებენ განათლებულ კაცობრიობის მოწინავე კაცნი. ეს გარემოება, ერთად მუშაობა, საუკეთესო თავმდებია უკეთესის მომავალისა და იმ ბედნიერ დროს მოახლოვებისა, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელიან გულ-წრფელნი მოღვაწენი და ქვეყნის სიკეთის მოსურნენი.

წლევანდელ კონგრესთა შორის სხვებზედ მეტი ყურადღება საზოგადოებისა მიიქცია ჟურნალისტთა საერთა-შორისო კონგრესმა, რიცხვით მერვემ. მასპინძლობა ამ ხანად ჟურნალისტებს გაუწიეს სტუმართ-მოყვარე შვეიცარიელებმა და იმათმა საერთო დედაქალაქმა ბერნმა. თავი მოიყარა 250 კაცზედ მეტმა. რასაკვირველია, ჩვენს გარდა ამ კონგრესზედ თითქმის ყველა ერსა და სახელმწიფოსა ჰყავდა წარმომადგენელი.

მუშაობით ეს კონგრესი ბევრად ნაყოფიერი იყო წინანდელზედ. კონგრესი შეეხო ყველა იმ საგანს, რაც დღეს ჟურნალ-გაზეთობის სალაპარაკოდ და საჭირ-ბოროტოდ გამხდარა. თითქმის ყველა საგნის შესახებ ორი და სამი მოხსენება წაიკითხეს. კერძოდ ხანგრძლივი კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია თავმჯდომარის ზინგერის მოხსენებამ საგაზეთო პოლემიკის მნიშვნელობისა და სამედიატორო სასამართლოს დაარსების შესახებ. ორატორნი ამტკიცებდნენ, რომ წრეს-გადასული პოლემიკა დიდად ჰვნებს გაზეთს და ამცირებს ჟურნალისტთა ღირსებას, სახელს. რეზოლიუციაში კრებამ გამოსთქვა საჭიროება საერო საპროფესიონალო სასამართლოების დაარსებისა. საჭიროდა სცნო კრებამ აგრეთვე დაარსება საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოსი, რომელმაც უნდა დაიცვას ჟურნალისტთა ქონებრივი და ზნეობრივი ინტერესები.

შემდეგ მოხსენებანი წაიკითხეს და სჯაბაასი ჰქონდათ საავტორო საკუთრებისა, საგაზეთო დეპეშების ტარიფის დაკლებისა, გამომცემელთა და ჟურნალისტთა ერთ-ურთ დამოკიდებულებისა და სხვა საქმეთა შესახებ. კონგრესმა, სხვათა შორის, უპირველეს საჭიროებად გაზეთისათვის თავისუფლება სცნო. ყველგან გაზეთსა და ჟურნალისტებს უნდა მიენიჭოთ სრული თავისუფლება თავიანთ აზრის გამოთქმისა, კრიტიკისა და სჯა-ბაასისაო, ერთხმად განაცხადა კონგრესმა. დასასრულ, ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია ჟურნალისტების საპროფესიანალო განათლების საქმემ. ამ საგნის შესახებ მოხსენება წაიკითხა შვეიცარიელმა ბიულერმა, რომელმაც ის აზრი გამოსთქვა, რომ უნივერსიტეტების სამოსწავლო გეგმებში უეჭველად ადგილი უნდა დაეთმოს ჟურნალისტთა საპროფესიანალო განათლებასაცაო. კრებამ ერთხმად შეიწყნარა ეს აზრი.

კონგრესს ხან გამოშვებით ოთხი სხდომა ჰქონდა. სხდომასა და სხდომას შუა წევრებმა თითქმის მთელი შვეიცარია მოიარეს და დაათვალიერეს რაც რამ შესანიშნავია იქ. ამ მხრივ შვეიცარიელებმა მართლაც დიდი სტუმართმოყვარეობა გასწიეს. ჯერ-ერთი—მეტად გულღიად, მხიარულად და აღტაცებულად დაჰხვდნენ დედა-მიწის სხვა-და-სხვა კუთხიდან შეკრებილ სტუმრებს. სხდომებისათვის კონგრესს შვეიცარიის მთავრობამ დაუთმო სამის თვის წინად დამთავრებული უზარ-მაზარი საფედერაციო სასახლე. თვითეულ წევრს კონგრესისას მიეცა აბონემენტი, რომლითაც 14 დღის განმავლობაში შეეძლო შვეიცარიის რკინის გზებზე უსასყიდლოდ მოგზაურობა. გეგმა გასართობებისა და ექსკურსიებისა შვეიცარიელებმა შეადგინეს, თვითვე დაჰსდევდნენ მგზავრებს, უხსნიდნენ და უჩვენებდნენ ყველაფერს.

შემდეგი კონგრესი ამერიკაში მოხდება, ქალაქს სენ-ლუიში.

⁂

როგორცა ვსთქვით, ამ კონგრესმა საზოგადოების საერთო ყურადღება მიიქცია. არც საკვირველია: პრესსას იქ, სადაც თავისუფლად ხმა ამოეღებინება, მეტად დიდი მნიშვნელობა, ძალა და გავლენა აქვს. ტყუილად კი არ ეძახიან პრესსას მეექვსე დიდ სახელმწიფოს. თითქმის წარმოუდგენელია განათლებულ ხალხთა ცხოვრება დღეს უპრესოდ, უჟურნალ-გაზეთოდ. ამავე დროს ჟურნალ-გაზეთების სიმრავლე, სიკარგ-სიკეთე საუკეთესო საზომია ხალხის კულტურობისა, დაწინაურებისა. თუ რა ძალა და გავლენა აქვს დღეს პრესსას იქ, სადაც, როგორცა ვსთქვით, ხმის ამოღება შეუძლიან, სჩანს შემდეგ პატარა ამბიდან, რომელიც სხვა მხრივადაც, ჩვენის აზრით, დიდად საგულისხმო და საყურადღებოა.

როგორც ვუწყით, ლონდონში გვირგვინის კურთხევის დღესასწაულებისა გამო დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ყველა ერის წარმომადგენელს შეჰხვდებოდით ქუჩებში. ამბობენ, ამ დღესასწაულისათვის ინგლისელებმა რამდენიმე ფეხ-შიშველა მეფეც კი ჩამოიყვანეს აფრიკის მივარდნილ და მიყრუებულ ადგილებიდანაო. ამა ქვეყნის ძლიერებთან ერთად ლონდონს ევროპასა და ამერიკიდან სხვა-და-სხვა გაიძვერა, ქურდი და აფერისტიც ეწვია იმ იმედით, რომ ცოტა რამეს ჩვენც გამოვრჩებითო. რასაკვირველია, ამ გარემოებამ პოლიციას საქმე გაურთულა და გუძნელა. იგი უფრო მეტის მხნეობით და გულ-მოდგინეობით შეუდგა საეჭვო ადგილების ჩხრეკა-თვალიერებას და საეჭვო კაცების ჭერა-დაპატიმრებას. ერთ მშვენიერ დილას, როგორც ბელეტრისტები ამბობენ ხოლმე, პოლიცია თავს დაატყდა ერთ გარყვნილების ბუდეს და დააპატიმრა იქ ოთხი კაცი. ორ კაცს კარგად იცნობდა პოლიცია, რადგანაც წინადაც ხშირად შეჰხვედრიან ერთმანეთს.

დაადგინეს, ითხოვონ ცალკე კროატთა სამეფოს დაარსება, ანუ შეჰქმნა, რომელიც უნდა შესდგებოდეს დალმაციის, ბოსნიის და ჰერცოგოვინისაგან. რასაკვირველია, ამ დადგენილებას არავითარი პრაქტიკული აზრი არა აქვს. კროატებმა ამ შემთხვევაში მხოლოდ მიჰბაძეს ჩეხებს და ტიროლელ-იტალიელებს: უკანასკნელნი თხოულობენ, რომ ტიროლის ის ნაწილი, რომელიც იტალიისკენაა, იტალიას შეემატოს.

ვიდრე რეიხსრატის სესსია გაიხსნებოდეს შემოდგომაზე, უნდა როგორმე შემუშავდეს დამოჟნის ტარიფის კითხვა და საზოგადოდ ეკონომიური კომპრომისი ავსტრიასა და ჰუნგრეთ შორის. კერბერი და სელი კიდეც შეთანხმდნენ ამ კითხვების შესახებ, ხოლო კერბერმა, (ჰუნგრეთის პირველმა მინისტრმა), წინ-და-წინვე მოამზადა საჭირო ნიადაგი, რომ ჩეხები და გერმანელები დროებით მაინც შეთანხმდნენ, თორემ თუ ჩეხებმა მართლა ობსტრუქციას მიმართეს, მაშინ შეიძლება კერბერის ამდენმა შრომამ სრულიად უნაყოფოდ ჩაიაროს.

გერმანიიდან მოსულნი ლოტრანგ პასტორები, რომელნიც ვითომ სარწმუნოების საქადაგებლად მოდიან ავსტრიაში, ნამდვილად პანგერმანიზმის იდეას ავრცელებენ. ამის გამო ამ რამდენსამე კვირის წინად ავსტრიის მთავრობამ გააძევა ავსტრიის ტერიტორიიდან პასტორი უნგნადი, რომელიც ბოჰემიაში ქადაგებდა. როგორც ვენიდან მოსულ ამბებიდან სჩანს, იგივე ბედი სწვევია ორ სხვა პასტორსაც: ვირტს და გაუდმანს, რომელნიც პირდაპირ ქადაგებდნენ დინასტიის და სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ახალი ამბავი

◆ შარშან დამტკიცებულის გეგმით, **სახელმწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრების მოწყობას** შეუდგებიან პირველად ქუთაისის გუბერნიაში ტ გორისა და ბორჩალოს მაზრებში.

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის მინდობილებით, **ტფილისის გუბერნატორმა** გუშინ, 5 აგვისტოს, წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რაც შეიძლება საჩქაროდ, წარუდგინოს ცნობები ნავთლუღში მდებარე ქალაქის საკუთარ მიწების შესახებ. ეს ადგილები ქალაქმა ნაჭერებად დაჰყო და საძოვრად გასცა იჯარით.

◆ ერთმა ტფილისში მყოფმა უცხოელ ფირმის წარმომადგენელმა თხოვნით მიჰმართა კავკასიის მთავრობას, რომ ნება მიეცეს ზაფხულობით ავტომობილები ამუშაოს **კოჯორსა და ტფილისს** შუა. წასვლა-მოსვლა ეღირება ტფილისსა და კოჯორ შუა ერთი მანეთი. უნდა იქონიოს ექვსი ავტომობილი; თითოში რვა ადგილი იქნება, რაც დაუჯდება ამხანაგობას 24,000 მანეთად. ზამთარში ამ ავტომობილებს ამუშავებენ ტფილისსა და ნავთლუხს შუა. ნავთლუხამდი ავტომობილით წასვლა 10 კაპ. ეღირება.

◆ ტფილისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწე, ბ-ნი ბროძელი, რომელიც სამკურნალო გამგეობის მიერ გაგზავნილი იყო თელავის მაზრაში იმ ადგილების დასათვალიერებლად, სადაც **მალარია იცის**, ამ სენთან საბრძოლველად ზომების შესამუშავებლად, 4 აგვისტოს უკვე დაბრუნდა ტფილისში და წარუდგინა მოხსენება სამკურნალო განყოფილებას.

◆ კვირას, 4 აგვისტოს, დიდის წვიმისაგან მტკვარმა უეცრად მოიმატა. მოვარდნილმა წყალმა **დიდი ზარალი მიაყენა** ვერის ხიდს ზემოდ მეტივეებს, რომელთაც რამდენიმე ტივი მოსტაცა და წაიღო წყალმა. გათენებისას მეტივენი შეუდგნენ ტივების ჭერას, მაგრამ ბევრი წყალმა წაიღო.

◆ როგორც შევიტყვეთ, უწმ. სინოდს აღუთქვამს **ხარფუხის სამის სამრევლო სკოლის** შენობის გადასაკეთებლად 4000 მან. შემწეობის აღმოჩენა. სკოლების მზრუნველის გამოანგარიშებით, აღნიშნულ შენობის ჯეროვნად გადასაკეთებლად დასჭირდებათ სულ 6000 მან. და, რადგან 4000 მან. სინოდისგან მიიღებს, განზრახვა აქვს დანარჩენი 2000 მან. ხალის მოწერით შეაგროვოს. ახლოს მომავალში მზრუნველი აპირებს სპეციალისტ არქიტექტორის მოწვევას სკოლების შენობის გეგმის შესადგენად და ამის მიხედვით საჭირო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას.

◆ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება 12 კაცი **საფრანგეთის ქვეშევრდომი**, რომელთაც კვირას, 4 აგვისტოს, დაათვალიერეს ტფილისის სიონის ტაძარი, საეკლესიო მუზეუმი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მუზეუმი, კავკასიის მუზეუმი, სამხედრო მუზეუმი და სხვ. ექსკურსანტები ტფილისში დაჰყოფენ რამდენსამე დღეს კიდევ და შემდეგ აღმოსავლეთ-კავკასიაში გაემგზავრებიან.

◆ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა უკვე შეუდგა ტფილისის სათავადაზნაურო **თეატრის შეკეთებას**. ამ ჟამად მუშაობა სცენაზეა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას ივლისის განმავლობაში **შემოსავალი ჰქონია**: დასაფასებელ გარდასახადისა—36,392 მან. 12 კაპ., ცხენების ხარდასახადისა—29,936 მან. 50 კაპ., საკლავ და სამუშაო საქონლის სადგომისა—11,676 მან., ქალაქის საყასბოდან—31,704 მან. 49 კაპ. სატრაქტირო გარდასახადისა—13,826 და სხვა, სულ 150,719 მან. 80 კაპ.

◆ 4 აგვისტოს ტფილისის საყასბოში ქალაქის მიერ ნაყიდს და დასაკლავად კიკეთიდამ მორეკილ 3 ხარს **აღმოაჩნდა ავადმყოფი**. საქონელი ცალკე დაამწყვდიეს. კიკეთში დანარჩენ საქონლის გასასინჯად გაიგზავნა ქალაქის ბეითალი კანცელმახერი.

◆ როგორც ბათუმიდან გვწერენ, ერთ უცხოელ ამხანაგობის წარმომადგენელს მოლაპარაკება ჰქონია ბათუმის ქალაქის თავთან წყლით **სამკურნალოს და საბანებლის** დაარსების შესახებ. წყლით მოსარჩენ საავადმყოფოს აშენება უნდა ამხანაგობას ზღვის პირას, სადაც დიდი ბაღიც უნდა გააშენონ. მხოლოდ ერთი რამ აფერხებს საქმის გადაწყვეტას: ამხანაგობას ჰსურს დიდი სასტუმროც აგოს ამ ალაგას. ამაზე ჯერ ვერ შეთანხმებულან.

◆ კავკასიის **შინა მრეწველობის კომიტეტმა** ამ დღეებში გაუგზავნა ტფილისისა, ერევნისა, განჯისა, ბაქოს გუბერნიებისა და ყარსისა და დაღესტნის ოლქის გუბერნატორებს მცხოვრებთავის დასარიგებლად შინამრეწველობის ის ნაწარმოები, რომელიც სრულიად რუსეთის შინა-მრეწველობის გამოფენაზე იყო გაგზავნილი.

◆ ქ-ნმა შიოევისამ, რომლის სახლშიაც მოთავსებულია **ქალაქის საპროფესიონალო სახელოსნო**, სახლის ქირას მოუმატა (1600 მან.) და ქალაქს განუცხადა, ან ეს ფასი მომეცით და ან ეხლავე დამიცალეთ სახლიო. ქალაქი ამის გამო დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, რადგან სახელოსნოსთვის შესაფერი სახლი ვერ უშოვნია.

◆ წყალთა გამგეობამ სამი ტეხნიკოსი გაგზავნა **ერევნის გუბერნიაში სორდაბათის მინდვრის გამოსაკვლევად**, სადაც უნდათ არხები გაიყვანონ ამ მინდვრის მოსარწყავად. ჰფიქრობენ იქ რუსეთიდან გადმოსულთა დასახლებას.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის **მზრუნველი შავაძე**, რომელიც ამ ჟამად სოხუმში იმყოფება, ამ თვის შუა რიცხვებში გაემგზავრება ჩრდილოეთ კავკასიის და თერგის ოლქის სკოლების სარევიზიოდ.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების გამგეობამ სთხოვა ქალაქის გამგეობას საქიმიო ლაბორატორიის იმ ოქმების პირ-ები, სადაც აღნიშნულია **ტრიხინას აღმოჩენა** ამ საზოგადოების მიერ რუსეთიდან გამოწერილ ლორში. ქალაქის გამგეობამ დაადგინა გაუგზავნოს საზოგადოებას ოქმის პირი.

◆ **ბორჯომიდან** გვწერენ: ჩვენშიაც გაჩნდნენ გამბედავი ვაჟბატონები. გამბედაობაც იმასა ჰქვია, რაც ამ თვის პირველ რიცხვს აქაურს მინერალურ პარკში მოხდა დილის 11 საათზე, სწორედ იმ დროს, როცა პარკში მუსიკა უკრავს და ბლომად ხალხი დასეირნობს.

პეტერბურგიდან საზაფხულოდ ჩამოსული, მეუღლე პოლკოვნიკის კ—სა პარკში დასეირნობდა; მეოთხე ბოგირამდი რომ მივიდა, იქიდან დაბრუნებისას ერთი ვაჟბატონი, ბლუზა-ქუდში გამოწყობილი, უცბად და მოულოდნელად მიჰვარდა კ—ს მეუღლეს, ხელი მაგრად წაუჭირა და გულის ჯიბიდან ოქროს საათი თავის ძეწკვით ამოჰგლიჯა. მანდილოსანი მეტად შეშინებულა, მათ უფრო რომ გამძარცვავი დაჰმუქრებია—არ იყვიროო. კ—ს მეუღლეს ხელიდან ქოლგა დაჰვარდნია და ისიც უნდოდა მძარცველისათვის მიეცა, ოღონდ არა შემთხვეოდა რა მეტი, მაგრამ ვაჟბატონს ქოლგა მანდილოსანისთვის გარდაუცია და... საჩქაროდ თავისს გზას გასდგომია.

პოლიცია გაცხარებულ ძებნაშია იმ ვაჟბატონისა, მაგრამ ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. რამდენიმე საეჭვო კაცი კიდეც უჩვენებიათ კ—სათვის, მაგრამ იმათ შორის არც ერთი იმის გამძარცველი არ აღმოჩენილა. როგორც ამბობენ, ის ვაჟბატონი იმ დღესვე რკინის გზით ბორჯომიდან გავიდოდაო.

◆ მიხეილის ქუჩაზე, ნ. გ. ქართველიშვილის სახლში მოთავსებული განყოფილებანი კავკასიის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების მაღაზიისა გამგეობას ამ დღეებში გადააქვს ახალს შენობაში, კიროჩნი ქუჩაზე, ტფილისის მასწავლებელ ქალთა სამკითხველოს პირდაპირ.

◆ 3 აგვისტოს, ღამის 12 საათზე, მიხეილის სამკურნალოში მიიყვანეს ტფილისის მცხოვრები ემილია ვიხშონისა, რომელიც უგრძნობლად დაგდებული უნახავთ თავის სახლში.

მესამე 15 წლის ბავშვი აღმოჩნდა, ხოლო მეოთხე—მშვენივრად გამოწყობილი ლამაზი ყმაწვილი კაცი. პოლიციაში სამმა პირველმა თავიანთი გვარები დაასახელეს, ხოლო მეოთხემ განაცხადა, მთავარ ინსპექტორს დაუძახეთ და იმას ვეტყვი, ვინცა ვარო. ინსპექტორი ისე შეკრთა და შეშფოთდა, როდესაც ყმაწვილის კაცის ვინაობა გაიგო, რომ იმავე წუთს შინაგან საქმეთა მინისტრთან გაქანდა.

მეორე დღეს, ინგლისის კანონის ძალით, შეპყრობილნი უნდა წარედგინათ საპოლიციო სასამართლოსათვის, სადაც საქმე საჯაროდ ირჩევა. აი ამ დროდან იწყება ბრძოლა გაზეთებსა და პოლიცია-მოხელეთა შორის. ამ უკანასკნელთ არაფრის გულისათვის არ უნდოდათ უცნობის კაცის ვინაობის გამომჟღავნება. სასამართლომ გაზეთის წარმომადგენელნი მიიწვია და მოსთხოვა, პირობა მომეცით, რომ ჩუმად იქნებით, არ გაამხელთ უცნობის ვინაობას და იმის მიერ ჩადენილ დანაშაულსაო. რეპორტერებმა უთხრეს, ურედაქტორებოდ ვერ მოგცემთ მაგ პირობასაო; ხოლო რედაქტორებმა ტელეფონით შეუთვალეს, რომ სასამართლოს კარი ყველასათვის ღიაა, საქმე საჯაროდ ირჩევა, ამიტომ მაგისთანა პირობას ვერავის მივცემთო. მაშინ თავმჯდომარემ დარბაზიდან ხალხის გარეკა მოინდომა, მაგრამ რეპორტერებმა აინუშიაც არ ჩააგდეს ეს ახალი ბრძანება და დარბაზიდან ფეხი არ მოიცვალეს. თავმჯდომარემ ასე რომ ვერაფერი გააწყო, სხვა ხერხს მიჰმართა: ბრალდებულნი არ გამოიყვანეს და იმათი გვარები არ დაასახელეს,ამის ნაცვლად ამბობდნენ: „ცნობილი საქმე“, „ამ საქმის გამო პასუხის გებაში მიცემულნიო“ და სხვა. ამით გათავდა სასამართლოს პირველი სხდომა.

რეპორტერებმა ცოტა რამ მაინც შეიტყეს. შეიტყეს, რა დანაშაულობა ჩაედინა ყმაწვილ კაცს; გაიგეს, რომ იგი „მეფის სტუმარი“ იყო; ჩამოსულა გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად და მეფის სასახლეში ჩამომხტარა, საიდანაც სამშაბათს საიდუმლოდ გამოსულა, მდიდარ რესტორანში პური უჭამია და მერე ქუჩის ერთ გაიძვერასთან ერთად იქ ამოუყვია თავი, სადაც პოლიციამ მოატანა.

გაზეთებმა, ყოველივე ეს დაიხვიეს რა ხელზე, ერთი ალიაქოთი ასტეხეს. „ჩვენ ჯერ არ მივჩვეულვართ საიდუმლოდ საქმის განხილვას,—სწერდა ერთი გაზეთი.—რადა ჰმალავენ და არ ამხელენ ბრალდებულის გვარს? რა უფლების ძალით ანიჭებენ ამ უცნობ დიდ კაცს ასეთ უპირატესობას? ნუ თუ ჰსურთ დაგვიმტკიცონ, რომ ერთგვარის დანაშაულობისთვის დიდის ჰერცოგისა, პრინცისა და ქუჩის მაწანწალას საქმე ერთნაირად არ უნდა გაირჩეს? ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ მთავრობისა და სასამართლოს საქციელის წინააღმდეგ. ეს უსამართლობა და უპატიოსნებაა. ჩვენ ვიწვევთ მოქალაქეთ: ეცადნენ, რომ სასამართლო ერთი იყოს ყველასათვის“. პრესსა ამასთან დაემუქრა, პარლამენტში შევეკითხებით მაგ საქმის გამოო.

შემდეგ ოთხშაბათს სხვა თავმჯდომარეობდა სასამართლოში. რეპორტერები აღარ დაითხოვეს და აღარც პირობა მოსთხოვეს. ბოლოს ყველაფერი გამოირკვა: უცნობი ავსტრიელი პრინცი ფრანც-იოსებ ბრაგანისა ყოფილა, ახალ-გაზდა, 22 წლის კაცი, ავსტრიის მემკვიდრე პრინცთან ერთად გვირგვინის კურთხევაზე ლონდონში მისული.

ამ რიგად მთავრობამ პრესიის წყალობით ვერ ჩაჩქმალა საქმე.

⁂

უფლებას რომ თავი დავანებოთ, განა სასამართლო და მთავრობა გამოაპარებდნენ რასმეს დღევანდელ რეპორტერს? რაც უნდა საიდუმლოდ შეენახათ ყოველივე, რეპორტერები მაინც გამოარკვევდნენ საქმის ვითარებას. დღევანდელი რეპორტერი (რასაკვირველია, არა ჩვენებური) იმ ზღაპრის გმირსა ჰგავს, რომელიც ერთსა და იმავე დროს ყველგან არის და ყველაფერსა ჰხედავს.

ცხოვრება იცვლება და იმასთან ერთად ხასიათი ეცვლება ყოველ-დღიურ გაზეთსაც. უწინდელი იდეის გაზეთი, რომელიც მთავარ ყურადღებას მსჯელობას, ცხოვრების საჭირ-ბოროტო კითხვათა გამორკვევას და ამა თუ იმ მოძღვრების ქადაგებას აქცევდა, თან-და-თან ადგილს უთმობს ევროპასა და ამერიკაში ცნობათა და ამბავთა ამნუსხველ გაზეთს. დილით-საღამომდე საქმეში გართულ ევროპიელს აღარა სცალიან, რომ უწინდელებრ, ტახტზე გადაგორებულმა და საკინძ გახსნილმა, დინჯად და დალაგებით გადაიკითხოს თავით-ბოლომდე უზარმაზარი ფურცელი. ეხლა ევროპიელი, ნამეტნავად ამერიკელი გაზეთს გზაში კითხულობს, ან ცხენის რკინის გზის ვაგონში ან ეტლში. სადა სცალიან საფიქრებლად და გონების სავარჯიშოდ! გაზეთი იმიტომ უნდა, რომ ხელად, ერთის თვალის გადავლებით გაიგოს, დედამიწის ზურგზე რა ხდება, შეიტყოს „ცხელცხელი“ ამბები. გაზეთიც უმთავრესს ყურადღებას ეხლა სწორედ ამ ამბებს აქცევს. დღეს ევროპიულ გაზეთებში ამბებმა, ქრონიკამ უპირველესი ადგილი დაიჭირა. იმასთან ეხლა ფეხს ველარ გასჭიმავს ვერც ფელეტონი და ვერც მოწინავე წერილი.

ამის წყალობით დიდი ფასი დაედო რეპორტერს. ყველა ვერ გასწევს რეპორტერობას. ამ ხელობის კაცი მეტად გამბედავი უნდა იყოს, ჭკუა-მახვილი, მოხერხებული და ენა-წყლიანი. არავითარ საქმეს არ უნდა დაერიდოს იგი, თვით უნდა ჰნახოს, გამოსცადოს და იგემოს ყოველივე.

ერთ ხანად საარაკო ამბად გადაიქცა ინგლისურ „ტაიმსის“ კორესპონდენტის ბლოვიცის მოხერხებული ოინი. ამ ბლოვიცის წყალობით „ტაიმს“-ში მეორე დღესვე დაიბეჭდა ანგარიში ბერლინის კონგრესის საიდუმლო სხდომისა. ყველას ეგონა, თვით მძლეთა-მძლე ბისმარკი ხომ დარწმუნებული იყო, რომ კონგრესის მიერ გადაჭრილ-გადაწყვეტილი საქმენი იქ მყოფ შვიდ-რვა კაცის გარდა ძე-ხორცილმა არ იცისო. მეორე დღეს, როდესაც „ტაიმსის“ მიერ ნაუწყები ამბავი დეპეშამ მთელ ქვეყანას აცნობა, კონგრესის წევრნი ხახა მშრალნი დარჩნენ. ამბობენ, ბისმარკმა ხელიც-კი იტაცა თმაზედ და, გაბრაზებულ-გაჯავრებულმა, კინაღამ მოიგლიჯა ის სამად-სამი ბალანი, რომელიც იმის მოტიტვლებულ თავს ამშვენებდა და რომელიც ესოდენ სალაპარაკო მასალას აძლევდა გაზეთებს. თურმე ნუ იტყვით, ბლოვიცი რაღაც მანქანებით სხდომების დაწყებამდე შეპარულა დარბაზში, შემძვრალა იქ დიდ სტოლ ქვეშ, რომელსაც ცოტა-ხანს შემდეგ დიპლომატები შემოუსხდნენ, და სულ-განაბული ყურს უგდებდა დიპლომატთა დიპლომატიურ სჯა-კამათს.

დღევანდელი რეპორტერი მოხერხებითა და ეშმაკობით ოცჯერ გაჰყიდის და იყიდის ბლოვიცს. მკითხველებს ეხსომებათ, ესპანია-ამერიკის ომის დროს ერთმა ამერიკელმა რეპორტერმა როგორ გასტეხა კუბაზედ საპყრობილე და როგორ გააპარა იქიდან ტყვე ქალი ევანგელინა ცისნეროსი. იმავე წელს ნიუ-იორკში ერთი კაცი მოჰკლეს. ამ მკვლელობამ საოცრად დააინტერესა ამერიკელნი. პოლიციამ მთელი ქვეყანა შესძრა, მაგრამ მკვლელის კვალსაც-კი ვერ მიაგნო. მაშინ რეპორტერებმა მოჰკიდეს საქმეს ხელი და ერთის კვირის შემდეგ მკვლელი თავის სოროდან გამოაძვრინეს.

ამ რამდენისამე წლის წინად ერთის გაიძვერას წყალობით ნიუ-იორკელ „ჰერალდის“

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა, ინჟენერმა გ. ე. ფონ-შულცმა, საყურადღებო განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში „თეთრის ხიდის“ გაკეთების შესახებ. მოხსენების ავტორი ამბობს: „ქალაქს ყოველ წელს ეხარჯება ამ ხიდზე 1000 მანეთამდის, რადგან ყოველ სამ წელს ხიდზედ ახალის ფიცრების დაგება 2400 მანეთამდის ჯდება და ამას გარდა ყოველ წლიურად ხიდის შეკეთებას სჭირდება 200 მანეთამდის. ინჟენერი ურჩევს ქალაქს ხიდზე ფიცრების მაგივრად ერთგვარ რკინის (волнистое желѣзо) მოგებას, რომელზედაც გაკეთდება გზატკეცილი, ხოლო გვერდებზედ ასფალტის ტროტუარი. ამგვარად ხიდის გაკეთება დაუჯდება ქალაქს სულ 4451 მან. 55 კაპეიკად. ამით ჯერ ერთი ყოველ წლიური უნაყოფო ხარჯი სამუდამოდ თავიდან მოჰშორდება ქალაქს და — მეორე — ხიდი მუდამ უშიშარს მდგომარეობაში იქმნებაო. რაც შეეხება იმას, აიტანს თუ ვერა ხიდი იმ სიმძიმეს, რომელიც დააწვება გაკეთების შემდეგ, ბ-ონი ფონ-შულცი იმ აზრისაა, რომ ხიდის ყოველ ოთხ-კუთხ მეტრს შეუძლია აიტანოს 3902 კილოგრამი სიმძიმე; ეხლა-კი თითო ოთხ-კუთხ მეტრს ჰხვდება მხოლოდ 1080 კილოგრამი სიმძიმეო, ე. ი. თითქმის ოთხჯერ ნაკლები, ასე რომ სიმძიმის მხრითაც ხიდის გამძლეობა უზრუნველი ყოფილა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქალაქი უყურადღებოდ არ დატოვებს ამ მოხსენებას და სამუდამო ხიდის გასაკეთებლად ერთისა და ორი ათას მანეთის ერთდროულად გარდახდას არ დაიშურებს, მით უმეტეს, რომ შემდეგ თითქმის ყოველ ხარჯისაგან განთავისუფლებული იქმნება.

✦ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარის ბ-ნ მელნიკოვის პასუხი „ამ კვირაში მოხსენებას წარვუდგენ ფინანსთა მინისტრსაო“, გამოუწვევია ბანკის გამგეობის შეკითხვას, „უთქვენოთ სესხი ვერ გაგვიცია და როგორ მოვიქცეთო“. ამ პასუხს ყველა თავისებურადა ჰხსნის, ზოგი ბანკისა და ზოგიც კერძოდ ბ-ნ მელნიკოვის საზარალოდ, მაგრამ რომელია მართალი — კაცმა არ იცის.

✦ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი საჩხერედან კისლოვოდსკას წაბრძანდა რამდენისამე დღით. დაბრუნდება თუ არა — ყოვლად სამღვდელო კვლავ შეუდგება რევიზიის განგრძობას.

თვე-ნახევარზე მეტია, რაც პატივცემული მღვდელ-მთავარი სარევიზიოდ დაბრძანდება მისდამი რწმუნებულ ეპარქიაში და ამ ჟამად სამი საბლაღოჩინო კიდევ დარჩა დაუთვალიერებელი: ჩხარისა, სიმონეთისა და ოკრიბისა, რომელთაც კისლოვოდსკიდან დაბრუნების შემდეგ დაათვალიერებს.

✦ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში განმეორებითი ეგზამენები დანიშნულია 18 აგვისტოს, მხოლოდ მისაღები ეგზამენები 22 აგვისტოდან დაიწყება.

სემინარიაში შესვლის მსურველთა რიცხვი ჯერ ჯერობით ასზე მეტია, თავისუფალი ადგილი-კი მხოლოდ 40—50.

წელს ეგზამენებზე მიუშვებენ იმათაც, ვინც შარშან გაათავა სასულიერო სასწავლებლები და, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, შარშან ეგზამენზე მიშვებულნი არ იყვნენ.

✦ ქუთაისის ვაჟების გიმნაზიაში შესასვლელი და გამოსაცდელი ეგზამენები იწყება 23 აგვისტოს და გაგრძელდება ვიდრე 28 აგვისტომდე. მოსამზადებელსა და პირველ კლასებში მისაღები ეგზამენები იქნება 27 ან 28 აგვისტოს.

სწავლა დაიწყება 1-ლ სეკტემბერს.

✦ ქალების წმ. ნინოს სასწავლებელში მისაბარებელ ქალების შესახებ სათხოვარს, თუ სხვა საჭირო ქაღალდებს, ამ სასწავლებლის ადმინისტრაცია მიიღებს მხოლოდ ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 11-დან პირველ საათამდე.

✦ იმერეთის საეპარქიო გაბრიელის ექვს კლასიან საქალებო სასწავლებელში განმეორებითი და მისაღები ეგზამენები დაიწყება 3-ს სექტემბერს. თავისუფალი ადგილებია მოსამზადებელ კლასებში და რამდენიმე პირველ კლასში.

✦ ივლისის მეორე ნახევრის დიდმა სიცხეებმა მეტად შეგვაწუხა, მაგრამ 1-ლ აგვისტოს საღამოზე წვიმა მოვიდა და გაგვაგრილა. წვიმა მეორე და მესამე დღესაც მოდიოდა. რიონი ადიდდა, სჩანს — წვიმა რაჭა-ლეჩხუმს და ზემო-იმერეთსაც სწვევია. ღმერთმაც ინებოს!.

✦ ქუთაისში ქუჩების განათების საქმის გამგემ დ. კიზირიამ ამას წინად მოახსენა ქალაქის თავს, რომ ერთ საღამოს არც-ერთი ფარანი არ იყო ანთებულიო. ქალაქის თავის განკარგულებით მეფარნეები დააჯარიმეს. ამის გამო ქალაქის თავს მეფარნეებისაგან ქაღალდი მოუვიდა: მართალია ფარნები არ აგვინთიაო, ამბობენ მეფარნეები, მაგრამ ჩვენ ამაში არავითარი ბრალი არ მიგვიძღვის, რადგან ეს იმ ერთ ღამეს ჩვენი უფროსის კიზირიას განკარგულებით მოხდაო: დაგვითხოვა, მთვარიან ღამეს ფარნები არ აგვენთო. ქალაქის თავის განკარგულებით გამოიძიეს საქმე და მეფარნეების სიმართლე აღმოჩნდა. მეფარნეებს ჯარიმად აღებული ფული დაუბრუნეს და სამაგიეროდ განათების გამგე დ. კიზირია დააჯარიმეს.

რუსეთის ქრონიკა

✦ მდგომარე წლის დამლევს პეტერბურგში მოხდება წარმომადგენელთა კრება იმ საქველ-მოქმედო საზოგადოებათა, რომელთაც აზრადა აქვთ ბავშვების დაცვა სასტიკ მოპყრობისაგან. სხვათა შორის, კრებამ შემდეგი საგნები უნდა განიხილოს: ბავშვთა დღის შემცირება რვა საათამდე; სილოთის წინააღმდეგ საბრძოლველად დაარსება ბავშვთა შორის სიფხიზლის საზოგადოებისა; მოსწავლე ბავშთა საზოგადო საცხოვრებლების გამართვა და სხვა.

✦ ამიერიდან მოსავლის შესახებ ცნობების შეკრება დაევალება განსაკუთრებულ კომისიას, რომლის წევრებადაც ყველა სამინისტროს წარმომადგენელნი იქმნებიან. თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი. მუშაობას კომისია შეუდგება სექტემბერში.

✦ ირკუტსკის გუბერნატორმა ქალაქ ირკუტსკის მცხოვრებთათვის შემდეგი სავალდებულო დადგენილებანი გამოსცა: 1) აღკრძალულია გამოგონილ ან ხმებზე დამყარებულ ამბების გავრცელება; 2) აღკრძალულია საზოგადოებრივ წესიერების დასარღვევად ბრბოს შეკრება ან გარეშეთა მიწვევა; 3) რამე უწესოების დროს საზოგადო ადგილებში ყველა ვალდებულია პოლიციის პირველ მოთხოვნილებისათანავე წავიდეს უწესოების ადგილიდან; 4) აღკრძალულია სიმთვრალის დროს საზოგადო ადგილებში ყოფნა. დამნაშავეთ ადმინისტრატიულის წესით 500 მანეთი ჯარიმა გადახდებათ, ან 3 თვით დაპატიმრებულ იქმნებიან.

პრესსა

„პეტერბ. ვედომ.“-ში ვკითხულობთ (№ 206) საყურადღებო წერილს ისევ იმ მწვავე საკითხის შესახებ, რომელსაც სახელად ეწოდება შავი ზღვის კავკასიის ნაპირის დასახლება. „ჩერნომ. ვესტნ.“-მა, „მოსკოვ. ვედომ.“-მა და სხვა ამგვარ „პატრიოტულმა“ გაზეთებმა ბოლოს დროს გამწარებით დაიწყეს ლაპარაკი შავი ზღვის ნაპირა ადგილებზე რუსეთიდან გადმოსახლებულთა დაბინავების შესახებ. მათთვის ურიგო არ იქნება კიდევ ერთხელ გაიგონონ სიმართლე. თუმცა ისიც საკითხავია — განა სიმართლე უნდა იმ „პატრიოტულ“ გაზეთებს, რომელნიც ყველგან ღალატს ჰხედავენ და ამით ხელმძღვანელობენ სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტის დროს?!. ზემოხსენებულ წერილში ავტორს მოჰყავს შემდეგი ცნობანი:

> ამ ქვეყანაში ჩერქეზთა გადასახლებამდე ნახევარი მილიონი მცხოვრები იყო; დღეს კი, მიუხედავათ მთავრობის მაცადინეობისა, აქ ძლივს 40 ათასი მცხოვრებია; ეს არის შედეგი 50 წლის მაცადინეობისა, რომ ამ ადგილებზე უთუოდ რუსეთიდან გადმოსახლებულნი დაებინავებინათ!..

შავი ზღვის ნაპირა ადგილები სივრცით 600 ათასი დესეტინაა; ნიადაგი და ჰავა მშვენიერი; მხარე ასეთი მდიდარია, რომ შეუძლია 1 მილიონი მცხოვრები არჩინოს; და აი, ეს მხარე დღეს უდაბნოა! აუცილებლად საჭიროა მისი დასახლება, მაგრამ როგორ? მკითხველებმა იციან, რომ კავკასიის მკვიდრთ გაძნელებული აქვთ იქ დასახლება, ხოლო რუსი გლეხები ვერ სახლდებიან. მაშ როგორ მოიხმაროს სახელმწიფომ ეს ადგილები? ასე უდაბნოთ ხომ ვერ დასტოვებს?.. რეაქციონურ გაზეთებს იმედი აქვთ, რა-კი რკინის გზას გაიყვანენო, კერძო მემამულეები მოვლენ რუსეთიდან და დაბინავდებიანო. მაგრამ წერილის ავტორი, ბ. ვერმიშევი, მართალს ამბობს, რომ

> რკინის გზა უეჭველია გააცოცხლებს და ააყვავებს ამ ქვეყნის იმ ადგილებს, რომელნიც სწორედ შავი ზღვის ნაპირს შეადგენენ; ამ ადგილებზე გაშენდება კურორტები, სააგარაკოები, მდიდართა ვილლები, სასტუმროები და სხვა ამგვარი; მაგრამ თვით ქვეყანა, მისი შუაგული ისევ მიუკარებელი და ველური დარჩება. კერძო მემამულემ თითო დესეტინის შემუშავებისათვის (ბაღისა ან ვენახის გაჩენისათვის) უნდა დახარჯოს არა ნაკლებ 1000 მანეთისა; ასე რომ 600-ათას დესეტინა მიწაზე მაღალი სამეურნეო დარგის კულტურის გასაჩენად საჭიროა 600 მილიონი თანხა! სად მოიძებნა რუსეთში იმდენი კერძო მემამულე, რომელთაც შეეძლებათ შეაგროვონ ასეთი თანხა?!.

ამ ველურ ადგილების დასახლებისა და აღყვავების საქმე ძრიელ ჩქარა წავიდოდა წინ და მთავრობასაც გროშად არ დაუჯდებოდა ერთი გარემოება რომ არ ელობებოდეს წინ.

თანამშრომელმა მთელი ორი წელიწადი ადგილობრივ მაწანწალათა და ქურდთა შორის გაატარა. თანამშრომელმა ჯერ შეისწავლა ქურდთა ლაპარაკის კილო, ტეხნიკური საშუალებანი და შემდეგ შევიდა იმათ წრეში. თავის თვალითა ჰნახა და დარწმუნდა, რა მეგობრული და მამაშვილური განწყობილება სუფევდა პოლიციასა, ქურდბაცაცებსა და მავნე მაწანწალათა შორის. იმათთან ერთად ეს ჩვენი რეპორტერიც შეუდგა „მუშაობას“: იპარავდა ნავთებს და სხვებსავით ნაწილს პოლიციას უყოფდა. ნივთების მოსაპარავ და შესანახ ადგილს თვით პოლიციელები უჩვენებდნენ ხოლმე. რასაკვირველია, შემდეგში ამ თანამშრომელმა ყველაფერი გამოაქვეყნა, რითაც დიდი სამსახური გაუწია ნიუ-იორკსა.

ევროპიელი რეპორტერებიც არ ჩამოუვარდებიან ამერიკელებს; ისინიც მუდამ საქმეში არიან, დარბიან, იკვლევენ და იძიებენ. დღეს რეპორტერი პარიჟშია, ხვალ ესპანიაში, ერთის კვირის შემდეგ აფრიკაში, მერე ავსტრალიაში და ასე მუდამ. არ გადარჩება უნახავი რეპორტერს არც ერთი შესანიშნავი კაცი. რაც უნდა მაგარი კაცი იყოს, მაინც აალაპარაკებს და ამა თუ იმ საგანზედ ათქმევინებს რასმეს. რაღა თქმა უნდა, სასყიდელიც კარგი ეძლევა რეპორტერს. საზოგადოდ, ევროპიული და ამერიკული რედაქციები ფულს არ იშურებენ სარეპორტერო საქმეებისათვის.

⁂

მეორე საინტერესო კონგრესი ამ ზაფხულს პარიზში მოხდა.

ვინ არ იცის, რა საცოდავ მდგომარეობაშია თავის ოჯახს, მშობლებ-ნათესავებს, სამშობლო ადგილს მოწყვეტილი და თავისდაუნებურად სამუდამოდ, თითქმის სიკვდილამდე ისეთ სახლში მომწყვდეული ახალ-გაზდა ქალი, საიდანაც გამოსასვლელი გზა, ხსნა და შველა აღარ არის. ასეთ ტანჯულ მდგომარეობაში ორმოცი და სამოცი ათასი ქალია დედა-მიწის ზურგზე. ყველაზე სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ნამდვილი ვაჭრობაა გამართული ქალებისა. ისე ჰყიდიან ქალებს, როგორც ნივთს, საქონელს. ამისათვის არსებობენ ამხანაგობანი და აგენტურები. მარტო ანტვერპენში ორასამდე ასეთი აგენტურაა, რომელთაც „საწყობებში“ ყოველ წუთსა და წამს „დამზადებული“ აქვთ სხვა-და-სხვა კუთხეში გასაგზავნად ათასამდე ახალგაზდა, სიცოცხლითა და ძალ-ღონით სავსე ქალი. ერთსა და იმავე „საქონელს“ ჰყიდიან ხშირად წელიწადში ორჯელ და სამჯერ. შარშან ერთი ბრეტონელი ქალი ორის თვის განმავლობაში სამჯერ გაჰყიდეს, ჯერ 300 ფრანკად, შემდეგ 1000-ად და ბოლოს 40 ფლორინად. გასასყიდად დამზადებული ქალები უმეტესად ახალგაზდები არიან, 15—20 წლისანი. აგენტურები დღეს თითქმის ყველგან არსებობს: ავსტრიასა, იტალიასა, საფრანგეთსა, ინგლისსა და სხვაგან. მარტო გენუას ნავთსადგურიდან სამხრეთ-ამერიკაში ყოველ წელიწადს 1200 ქალამდე იგზავნება.

ფასი ამ „საქონლისა“ ბაზრის მოთხოვნილებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ხშირად მოდასაც მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ ბაზარზე უფრო შავ-გვრემანებს თხოულობენ, ზოგჯერ კიდევ თეთრ-ყირმიზებს და სხვა. ზოგჯერ „საქონელი“ ბაზრის მოთხოვნილებას აღემატება ხოლმე და მაშინ ფასი, რასაკვირველია, ეცემა. ასეთი ამბავი ამას წინად მოხდა ბუენოს-ჰირესში. აგენტებმა ევროპიდან დევნილ და ამერიკაში წასულ ებრაელთა ღარიბ-ღატაკ ოჯახებიდან რამდენსამე ათას ქალს მოუყარეს თავი. ფასი ისე დაეცა ბაზარში, რომ წყვილი ქალი 100 მანეთად იყიდებოდა თურმე. ამბობენ, ამ გაჭირვების დროს საზიზღარმა ვაჭრებმა 10,000 ქალი გაჰყიდესო მარტო ერთ არგენტინის რესპუბლიკაში.

ყველამ უწყის, ვგონებ, აგენტები როგორ აცდენენ, ატყუებენ ქალებს და ჰგზავნიან გასასყიდად. ჰპირდებიან კარგ ადგილებს, წინდაწინვე ცოტაოდენ ფულსაც აძლევენ და ისტუმრებენ ვითომდა სამუშაოდ. ბევრი აგენტი იქ, სადაც ასე საქმე არა ხერხდება, სხვა ხრიკსა ხმარობს: ჯვარს იწერს ქალზე და შემდეგ, როგორც საკუთარ ცოლს, ჰყიდის. მაგალითები ყოფილა, რომ ერთსა და იმავე კაცს ოცჯერ და ორმოცჯერ დაუწერია ჯვარი და შემდეგ საკუთარი „მეუღლე“ კარგს ფასად გუსაღებია. ყველაზე უკედ ამ არა ადამიანურ საქმეში სამხრეთ-ამერიკელნი არიან დახელოვნებულნი.

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ უმთავრესი მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა დღევანდელი სოციალური წეს-წყობილებაა. იქ, სადაც სიღარიბე და სიმდიდრეა, სადაც ერთნი ფუფუნება-განცხრომაში სცხოვრობენ, ხოლო მეორენი შიმშილით იხოცებიან, სავსებით ვერ მოისპობა ეს საზიზღარი ვაჭრობა და მონობა. იგი შედეგია დღევანდელ ცხოვრებისა და, როგორც ასეთი, სავსებით მოისპობა მხოლოდ მაშინ, როდესაც მიზეზი მოისპობა, ე. ი. როდესაც ძირიანად შეიცვლება აწინდელი სოციალური წყობილობა. მაგრამ უბედურების სავსებით აღმოფხვრა თუ არა, „უდანაშაულო მსხვერპლთა“ ბედის შემსუბუქება და განკარგება შესაძლებელიც და, რასაკვირველია, სასურველიც არის.

აი, ამის მომსურნენი და მოწადინენი იყვნენ და არიან ამას წინად პარიზში მომხდარ კონგრესის წევრნი. საინტერესო ეს კონგრესი იმითაა, რომ იგი სახელმწიფოთა **მთავრობებმა** გამართეს და თავიანთი წარმომადგენელნი გაჰგზავნეს. პირველი ასეთი კონგრესი სამის წლის წინად მოხდა ლონდონში, მაგრამ მაშინ კერძო იყო და მთავრობებმა არავითარი მონაწილეობა არ მიიღეს. აზრად ეხლანდელ კონგრესს ჰქონდა საერთო პრაქტიკულ საშუალებათა შემუშავება ბოროტებასთან საბრძოლველად.

ინიციატივა ამ კონგრესის მოწვევისა საფრანგეთის მთავრობას ეკუთვნის. იმანვე წარუდგინა კრებას საუკეთესო, მშვენივრად შემუშავებული და დასაბუთებული მოხსენებანი. სამწუხაროდ, თავისი დადგენილებანი კონგრესმა არ გამოაქვეყნა, ასე რომ არავინ არაფერი იცის. ამბობენ მხოლოდ, რომ კონგრესმა შეიმუშავა საერთო ზომები სახელმწიფოთათვის. ეს ზომები შეეხება იმათ დასჯას, ვინც ქალებს ატყუებენ, აგენტურების აკრძალვას და სხვას.

⁂

დასასრულ, ორიოდე სიტყვა ერთის საინტერესო გამოფენის შესახებ.

ეს გამოფენა ორ აგვისტოს უნდა გაემართად ჩეხელ მუშათა ორგანიზაციებს პრაგაში (ჯერ არ ვიცით, გაიმართა თუ არა). ქარხნებისა და ფაბრიკების პატრონნი თითქმის ყოველ წელიწადს ჰმართავენ გამოფენებს, რომელთა საშუალებითაც აცნობებენ ხალხს სამრეწველო საქმის წარმატებასა და ამავე დროს თავიანთ ნაწარმოებსაც ასაღებენ. ამათ მაგვარად მუშებმაც მოიწადინეს „სამუშაო“ გამოფენის გამართვა, მხოლოდ სხვა აზრით: იმათ უნდათ დაანახონ ყველას, როგორ იმოქმედა და რა გავლენა იქონია მუშებსა და იმათ მდგომარეობაზე ტეხნიკა-წარმოების განვითარებამ.

ეს გამოფენა მეტად საინტერესო უნდა იყოს, რადგანაც ყველა დარგის მუშები იღებენ მონაწილეობას. მუშებს თვითვე შეუმუშავებიათ და დაუმზადებიათ მოხსენებანი მუშათა ყოფა-ცხოვრებისა, სამუშაო ფასისა, სამუშაო დღისა და მრავალ სხვა საყურადღებო საგნის შესახებ. სტატისტიკური ცნობების შეკრებას ამ გამოფენისათვის მუშათა ორგანიზაციები კარგა ხანია შეუდგნენ თურმე.

ი. ხ—მე.

ეს გარემოება—კავკასიის მკვიდრთადმი უნდობლობა, რომელსაც ასე დაჟინებით ქადაგებენ რეაქციონერები. ეს უნდობლობა კავკასიის ერთ არაფრით დაუმსახურებიათ; პირიქით, 100 წლის მშვიდობიან ცხოვრებითა და მოღვაწეობით მათ დაამტკიცეს სრული თავისი ერთგულება რუსეთისადმი. ამიტომ არაფერია საშიში, სამართლიანად ამბობს ბ. ვერმიშევი, იქ დასახლების ნება მისცენ მართლმადიდებელ ქართველთ, მით უმეტეს, რომ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი მეტად შეწუხებულნი არიან ადგილ-მამულის ვიწროობით. ამას კარგა ხანია იმეორებს ადგილობრივი და სატახტო ქალაქების პატიოსანი პრესსაც, იმეორებენ პატიოსანნი, მიუდგომელნი და გამოცდილნი სახელმწიფო მოღვაწენიც, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა, უნდობლობას თავისი გააქვს და ქართველთ არ ასახლებენ შავი-ზღვის ნაპირას. რაკი ასეაო, განაგრძობს ავტორი, რაკი ერთი ტომის ხალხის აქ დასახლება საშიშრად მიაჩნიათო, მაშ ასე მაინც მოიქცენო:

> დაასახლონ შავი-ზღვის ნაპირა ადგილები რუსებით, ქართველებით, სომხებით, ბერძნებით, მთიულ-მაჰმადიანებით.. ასეთი არეული მოსახლეობა საშიშს აღარას წარმოადგენს და ამასთანავე ეს უდაბნო ადგილები კვლავ აღყვავდება და ცხოვრება კვლავ გაჩაღდება...

⁂

სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა უმთავრესს კომიტეტს, როგორც წინადაც აღვინიშნავს, ბევრი კერძო მოხსენებაც მისდის სხვა-და-სხვა მოღვაწეთა და მცოდნეთაგან. ეს მოხსენებანი ეხებიან სხვა-და-სხვა საჭიროებათ და დაწვრილებით იკვლევენ იმ ღონისძიებათ, რომელთა მეოხებით უნდა გაუმჯობესდეს სოფლის ცხოვრება. ეს მოხსენებანი მეტად საყურადღებონი არიანო, ამბობს გაზ. „ნოვოსტი", და ამასთანავე აღნიშნავს იმ დიდ-მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ყველა კერძო მომხსენებელნი საკვირველის ერთ-აზროვნებითა და ერთ-სულოვნობით ამტკიცებენ, სოფელს არაფერი ეშველება, თუ ადგილობრივი თვით-მმართველობა არ გაძლიერდებაო. მათის სიტყვით,

> გლეხის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა განვითარდეს საზოგადოებრივი მოღვაწეობა. საზოგადოების მოქმედება რუსეთში გამოიხატება ერობის მოღვაწეობით, ამიტომ ერობის სამოქმედო ასპარეზი უნდა გაფართოვდეს, თუ გვინდა, რომ სოფლის მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

დაბა-სოფლები

სოფ. ქვალონი. (სამეგრელო). წასულმა წელიწადმა, როგორც სხვა სოფლელნი, ქვალონელებიც დიდ გაჭირვებაში ჩაგვაგდო. შარშანდელი სიმინდი, სამი-ოთხი თვე იქნება, რაც მცხოვრებთა დიდ ნაწილს გამოელია კიდეც. არ ახსოვთ სოფელში, რომ ერთის წლის მოსავალი მეორე მოსავლამდე არ ჰყოფნოდეთ. აქაური სიმინდი სხვა ქვეყნებში გაჰქონდათ აქამდე, წელს კი ჩვენი საკვებიც ვერ მოვიყვანეთ. წრევანდელ მოსავლის იმედი გვაქვს, რადგანაც ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს, ხოლო ამის შემდეგ რა იქნება, ღმერთმა უწყის. დღემდე არც დიდ წვიმებს და არც ზენა ქარს არ შეუწუხებია მოსავალი. მაგრამ, თქვენი მტერი, თუ იმედმა გვიმტყუნა და მოსავალი ცუდი დაგვიდგა! ისეც ღარიბნი ვართ და მაშინ ხომ „დამწვარზე მდუღარე დაესხმება".

წელს ჩვენკენ სიწყნარე და სიმშვიდეა: კაცთა ხოცვა, ცარცვა-გლეჯა, ჩხუბი, აყალ-მაყალი უოველთვის ხშირი მოვლენა ყოფილა ჩვენში, მაგრამ წელს იშვიათი შეიქმნა.

ქვალონელი გოგო

სამიქაო. (იმერეთი). 30 ივლისს სოფ. გეზათის მცხოვრებმა გლეხმა დ. შ—იამ მოჰკლა თავისი მეზობელი ქალი რ—ას ცოლი (შ—იას ასული). მკვლელობა სენაკის მაზრის სოფ. ონტოფოში მოხდა. აი საქმე როგორ ყოფილა: დ. შ—ას ჰყვარებია ერთ-მოგვარეს ქალი მაშო შ—ას ასული, რაიც ქალის ქმარს ა. რ—ას ცოდნია, მაგრამ ხმას არ იღებდა თურმე. ამას წინად ქალი ავად გამხდარა. შ—ას უთქვამს ქმრისთვის, წავიყვან საავადმყოფოში და მოვარჩენო. ქმარს ასი მანეთი მიუცია და უთქვამს, რაც მეტი დაიხარჯება, მერე მოგცემო. მორჩენის შემდეგ შ—ას გამოუცხადებია რ—თვის: ორასი მანეთი მეტი დამეხარჯა და მომეციო. რ—ას იმ ხანად ფული არა ჰქონია, ამიტომ თამასუქი მიუცია. თურმე ქალსა და შ—იას სხვაგან წასვლა მოუნდომებიათ, მაგრამ ეს ამბავი რ—ას ძმებს გაუგიათ. 1500 მანეთის ხელწერილი ჩამოურთმევიათ იმისთვის, რომ შ—ას ყველაფერი წაეღო, და ცოლიც დაურიგებიათ. შ—ას ყველაფერი გაუგია, მისულა რ—ას სახლში, მაგრამ იმისი ცოლი იქ არ დახვედრია, ონტოფოში ყოფილა. ამიტომ შ—აც იქ წასულა. ქალი გზაში შეხვედრია, უკითხია: ქმარს განშორდები და მე გამომყვები თუ არაო, და, როდესაც უარი მიუღია, გაბრაზებულს ხანჯალი ამოუღია და რამდენსამე ადგილას დაუჭრია. ამ ჭრილობათაგან ქალი რამდენისამე საათის შემდეგ გარდაიცვალა, ხოლო მკვლელი შეიპყრეს და სამართალში მისცეს.

ჰაჟი ზარზიკი.

ბზვანი (იმერეთი). ჩვენი სოფელი და საზოგადოდ რიონ გაღმის კუთხე ნაქებია კარგის მოსავლით. სამწუხაროდ, ამ ბოლოს დროს მოსავალმა, როგორც სხვა სოფლებში, ჩვენშიაც შესამჩნევად იკლო. წელს სიმინდის მოსავალს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს. თუმცა ბევრგან ვენახები ახმა, მაგრამ მთლად უღვინოდ მაინც არ დავრჩებით, რადგან ბევრმა მიჰყო ხელი ამერიკულ ვაზის გაშენებას, რომელიც კარგად ხეირობს.

ჩვენი სოფელი და მთლად ეს კუთხე სწავლა-განათლებით ძლიერ დაქვეითებულია. ჩვენ სოფელში, სადაც ოთხას კომლამდე მცხოვრები ითვლება, ერთის სამრევლო სკოლის გარდა, არა მოიპოვება რა. მასწავლებლად ქუთაისის საქალებო საეპარქიო სასწავლებლის ახლად კურს დამთავრებული ქალი ე. ნადირაძის ასულია. ამას წინად ზოგიერთთა მეცადინეობით, სკოლასთან დაარსდა სამკითხველო. უოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა, სარევიზიო ჩამობრძანების დროს, შესწირა სამკითხველოს დასაარსებლად ოცი მანეთი და ორმოც მანეთამდეც სხვაც მოაგროვეს. დროებით სამკითხველო მოთავსებულია სკოლის ოთახში, შემდეგისათვის აპირობენ ცალკე ოთახის მოპოებას. სასურველია, ახლავე შეუდგნენ ოთახის მაშენებას სკოლაზე, თორემ ენკენისთვიდან, როდესაც სწავლა დაიწყება, მოუხერხებლად იქნება სამკითხველოს დარჩენა სკოლის ოთახში.

25 ივლისს, ღამე, ჩვენ სოფელში შემდეგი მკვლელობა მოხდა. ამ სოფლის მცხოვრები ბესარიონ ტუეშელაშვილი ნავახშმევს ათ საათზე თავის სახლიდან გაემგზავრა საყანეზე, სადაც სასიმინდეები ჰქონდა. იმ დღეს სიმინდი დაუმზადებინა, რადგან მეორე დილას ადრე ჩაღვადრებისათვის უნდა მიეწყო და გასასუფად გაეტანებინა. ჩასულა თუ არა ცხენი დაუბამს, ვიღაც ბოროტ-განმზრახველს, რომელიც უთუოდ იქვე ყოფილა დამალული, თოფი უსროლია და მოუკლავს. იმ ღამეს არავის არაფერი გაუგია. დილით ადრე თავს წაადგა პირქვე დამხობილს უსულო გვამს ამავე სოფლელიგე, რომელმაც მთელი სოფელი შეჰყარა. ადგილობრივმა პოლიციამ დააპატიმრა ოთხი კაცი, ამავე სოფლის მცხოვრები; ეჭვი აქვთ, რომ ტუეშელაშვილი იმათ მოჰკლეს. როგორც სჩანს, მკვლელი ქურდი არ უნდა იყოს და არც იმ აზრით არის მკვლელობა ჩადენილი, რომ გაეძარცვათ, რადგან მიცვალებულს ორმოც მანეთამდე ფული ჯიბეში უნახეს. როცა შვიდს მაზრის ექიმმა გამომძიებლის თანდასწრებით მიცვალებულის გვამი გასჭრა. შეპყრობილთაგან სამი განთავისუფლეს გამოძიების შემდეგ, ასე რომ ეხლა ერთი-ღაა დაპატიმრებული.

ა. ნაცვალი

თეატრი

ქვიშხეთი. (ქართლი), 3 აგვისტოს ქვიშხეთის სკოლის დარბაზში ორი პიესა წარმოადგინეს: ქართულად—„დედის ერთა" და რუსულად „Медвѣдь". პირველ პიესაში მონაწილეობას იღებდნენ; ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ი. ყიფიანისა, კ. ი. ჯავახიძე და ა. ნ. ციმაკურიძე, მეორეში: მჭედლოვისა, პოლუმორდვინოვი და კ. დ. ყიფიანი. შემდეგ ნიურომა მოხდენილად დაუკრა სკრიპკა; დოლონაძემ რუსულად და ქართულად იმღერა და კ. ი. ჯავარიძემ წაიკითხა ლექსები რუსულად და ქართულად; ნ. გაბუნია-ცაგარლისამ რამდენჯერმე იმღერა დუდუკზედ. წარმოდგენა ცეკვა-თამაშით დამთავრდა.

ლ. ც.

წერილი იმერეთიდან

შიმშილობა და საშინელი სიძვირე.—ქურდ-ბაცაცები.—წლევანდელი მოსავალი.

თითქმის მთელ იმერეთში ეხლა შიმშილობაა. ამ შიმშილობის უმთავრესი მიზეზი შარშანდელ სიმინდის მოუსავლობაა. მთელ იმერეთის უმთავრესს საზრდოს, როგორც ვიცით, სიმინდი შეადგენს, რადგანაც სხვა ჭირნახულის თესვა—მოყვანას ხალხი უფრო ნაკლებ მისდევს. სიმინდი წინა წლებში ისე უხვად მოდიოდა იმერეთში, რომ არა თუ მკვიდრთ ჰყოფნიდა, საზღვარ გარედაც ძრიელ ბევრი გაჰქონდათ და ჩალის ფასად იყიდებოდა, რადგანაც სიმინდის დიდ ხანს შენახვა შეუძლებელია. წელს-კი, შარშანდელ მოუსვლელობისა გამო, სიმინდი ისე ძრიელ გაძვირდა, რომ ერთი ფუთის ფასი მანეთს აცილდა, რაც იმერეთში საარაკო ამბავია.

წარმოიდგინეთ ეხლა ისეთი დიდი ჯალაბი, რომელსაც ნახევარი ფუთი ძლივს ჰყოფნის დღეში და მაშინ ადვილად მიჰხვდებით იმის გაჭირვებულ მდგომარეობას. ამას გარდა, ისეთ სოფელს ვერ იპოვით, რომ ათში ერთს მოსახლეს მაინც ჰქონდეს საკმაო საზრდო. თითქმის ყველანი ჰყიდულობენ: თავადი, აზნაური და გლეხი და ისე ჰკვებავენ სახლობას. ამას ისიც დაუმატეთ, რომ სიმინდს სოფლად სასყიდლადაც ვერ ჰშოულობენ. საკვირველია, რატომ შესაფერი ყურადღება არავინ მიაქცია აქამდის იმერეთის ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობას!

ამ საშინელ შიმშილობის დროს მეტის-მეტად გახშირებულია იმერეთში ქურდობა: უმისოდაც გაჭირვებულ ხალხს მოსვენება აღარ აქვს ქურდ-ბაცაცებისაგან. უშიშრად და უსირცხვილოდ იპარავენ ყველაფერს: საქონელს, ფრინველს, ჭირნახულს, ხილს და მწვანეულობასაც-კი. ამ ქურდ-ბაცაცებში ბევრი ურევია ახალ-გაზრდა „კეთილშობილებიც"; ისეთებიც არიან, რომელთაც სოფლის სკოლა გაუთავებიათ. სოფლელნი ბევრს, ასეთს თავზე ხელ-აღებულ გაჟბატონს, იცნობენ, მაგრამ ხმას ვერ იღებენ, რადგანაც ეშინიათ, უარესი არ დაგვმართონ და სრულიად არ გადაგვწვანო. ასეთს გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან დღეს იმერლები!

სიმინდის გარდა ღვინოც ისე ძნელი საშოვარი და ძვირია ეხლა იმერეთში, რომ ღამის სოფლად პურის ჭამის დროს ღვინის სმა თითქმის სრულიად მოისპო. ხეირიან ღვინოს ფუთს 4—5 მ. ნაკლებ ვერ იშოვის კაცი.

წელს სიმინდის მოსავალს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს, უკეთუ ჩვეულებრივი აღმოსავლეთის ქარი არ ამოვარდა და მთელის წლის სარჩო ორ-სამ დღეში არ გაანადგურა. რაც შეეხება ღვინის მოსავალს, ვენახები მომეტებულ ნაწილად ისეა წამხდარი, რომ პატრონებმა სრულებით იმედი დაჰკარგეს.

წყალტუბელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 აგვისტო

მოსკოვი. მოურჩენელ ავადმყოფთათვის საავადმყოფოს საძირკველი ჩაჰყარეს. საავადმყოფოს აშენებენ ქალ. მედვედნიკოვის ხარჯით, რომელმაც ამისათვის ორ მილიონამდე მანეთი უანდერძა.

ყარსი. გვალვამ, სეტყვამ და სიცივეებმა ძალიან დააზარალა ჭირნახული. სეტყვამ და სიცივემ 80,000 მანეთის ზარალი მისცა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ბაზრობის დროს მექარხნეთა კრება შესდგება ურთიერთ შორის დამზღვევ საზოგადოების დასაარსებლად, უძრავი ქონებისა, საქონლისა და ქარხნის მუშების დასაზღვევად.

უკანასკნელ დღეებში ფართლეულობა ნაკლებად იყიდება.

ბრესტი. სასულიერო სკოლების წინააღმდეგ ბრძანებას ასრულებენ ორშაბათს ფოლგოეტში, პლუდამიელში და სენტ-მიენში.

ლანდერნო. აქ ჯარი იკრიბება. პონკრუაში ქალებმა პოლიციის კომისარსა სცემეს.

ლონდონი. ბურთა გენერლების მოსვლამ შემთხვევა მისცა ლონდონელებს დიდის მანიფესტაციით მიეგებებოდნენ მათ. ვაგზალზე აუარებელი ხალხი გულმხურვალედ მიესალმა: ისმოდა შემდეგი ხმები: „კეთილი დევეტი და ყველა უშიშარი. წინანდელი მტრები, ახლა ჩვენი მეგობრები არიან". ხალხმა ისე შეავიწროვა დევეტი, რომ პოლიციამ ძლივს გაანთავისუფლა. გენერლები იძულებულნი იყვნენ მატარებლის უკან მოევლოთ ვოკზალიდან გასასვლელად. ხალხი ეტლს დაედევნა.

4 (17) აგვისტოს ბურთა გენერლები კოუზში წავიდნენ მეფის სანახავად, რომელმაც მიიწვია თავის გემზე.

კალუგა. დღეს კალუგაზე გაიარა მდინარე ოკით დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ.

ალექსანდროვსკი. სამეცნიერო სამრეწველო ექსპედიციის გემი „ანდრეი პერვოზვანი" დაბრუნდა ორის კვირის მოგზაურობის შემდეგ. გაუვლიათ ალექსანდროვსკ-მატოჩკინ-შარი და აქედან „ახალის მიწის" ნაპირს აჰყვნენ $76^1/_2{}^0$-მდე და გაიარეს 1592 მილი.

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია: დროებით მოემატოს ბაჟი ყვავილოვან მწვანე და ყვითელ ჩაის, ფუთზე სამი მანეთი, ე. ი. ფუთზე ბაჟი იქნება ამიერიდან 25 მანეთი და 50 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. დ 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს.30 წ. ([illegible] ს.28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. [illegible] წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამი-10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს.48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ლექსები
განდეგილისა
ავტორის სურათით,
ფასი ათი შაური,
იყიდება: ტფილისში წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში. (0—10)

ДЕНИСОВСКИЙ

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდონრინი" მ. ვ. ლებედევისა.
ეს საშუალება რამდენიმე დღეში სპობს სრულებით მაზოლსა და მეჭეჭს ძირიანად. უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.
ისყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში და მის განყოფილებებში—ბაქოსა და ბათუმს.
(ნ. 25—13).

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Дозв. ценз. Тифлисъ, 5 Августа, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).